ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:ო87. 8723334001
თარიღი:30/11/2023

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომა**

**ოქმი №11**

ქ.ახმეტა, 29 ნოემბერი, 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსებ ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: გ.ქიბროწაშვილი,გ.ონიაშვილი, გ.შაშიაშვილი
ბ.კაიშვილი, კ.მამულაშვილი, გ.მამუჩარაშვილი
ზ. ფიცხელაური, შ.ტერტერაშვილი

სხდომა გაიხსნა $11^{00}$ საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

**დღის წესრიგი:**

**1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ**

**/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/**

**2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ბაბანეურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 8135.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ 50.03.38.070 ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.**

**/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/**

**3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ კოღოთოში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 10000.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ 50.12.36.313 ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.**

**/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/**

**4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ახმეტაში, ა. ჭავჭავაძის N15-ში მდებარე შენობაში პირველ სართულზე 102.62კვ.მ ფართობის (საკადასტრო კოდი 50.04.49.001) ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრი"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

**/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/**

**<u>მოისმინეს:</u> საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;**

მომხსენებელმა გააცნო ბიუროს წევრებს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საპროექტო წინადადებების შესახებ, თანდართული დანართის შესაბამისად.

**<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ბაბანეურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 8135.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ 50.03.38.070 ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.**

მომხსენებელმა გააცნო ბიუროს დამსწრე წევრებს საკითხი:

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ბაბანეურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 8135.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.03.38.070) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის:

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით -1375.00 (ერთიათას სამას სამოცდახუთმეტი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 (ათი) წელი.

**<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ კოღოთოში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 10000.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ 50.12.36.313 ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.**

მომხსენებელმა გააცნო დამსწრე წევრებს განკარგულების პროექტი:

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ კოღოთოში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 10000.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.12.36.313) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის:

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით -460.00 (ოთხას სამოცი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 20 (ოცი) წელი.

**<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ახმეტაში, ა. ჭავჭავაძის N15-ში მდებარე შენობაში პირველ სართულზე 102.62კვ.მ ფართობის (საკადასტრო კოდი 50.04.49.001) ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრი"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას - განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ახმეტაში, ა. ჭავჭავაძის N15-ში მდებარე შენობაში პირველ სართულზე 102.62კვ.მ ფართობის (საკადასტრო კოდი 50.04.49.001) ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრი"-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი 431437938) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ორი წლის ვადით გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის საკრებულოს სხდომისთვის წარდგენას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ბიუროს სხდომა დაიხურა $11^{40}$ საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM